# მშვიდობისათვის ბრძოლა—ჩვენი დროის დროშაა

ჩვენი დროის დროშა გახდა ხალხთა ბრძოლა მშვიდობისათვის. მილიონობით ადამიანი დედამიწის ყველა კონტინენტზე ჩაება ამ წმინდათა-წმინდა ბრძოლაში უღრუბლო ზეცისათვის, ბედნიერი, ნათელი მომავლისათვის იმის უფლებისათვის, რომ იშრომონ შიშის გარეშე. მშვიდობისა და უშიშროებისათვის ბრძოლის ავანგარდში მიდიან საბჭოთა კავშირისა და სხვა სოციალისტური ქვეყნების ხალხები, მთელი მსოფლიოს კომუნისტური და მუშათა პარტიები.









ეროვნული ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა



მთელი მსოფლიოს უბრალო ადამიანები იმედის თვალს მიაპყრობენ საბჭოეთის ქვეყანას. ერთგული თავისი მშვიდობისმოყვარული ლენინური პოლიტიკისა, იგი თანმიმდევრულად და განუხრელად იბრძვის სხვადასხვა სოციალური წყობილების სახელმწიფოთა მშვიდობიანი თანაარსებობისათვის, ულმობლად ამხილებს იმპერიალისტთა ხრიკებს, უანგარო დახმარებას უწევს ხალხებს, რომლებიც იბრძვიან თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის.

სურათზე: „გამარჯობა, მოსკოვო!“—ამბობს ბერძენი ხალხის გმირი შვილი, მშვიდობისათვის გამოჩენილი მებრძოლი მანოლის გლეზოსი.



საქლესის ფოტოქრონიკა

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ამერიკის შეერთებული შტატები




ამერიკის შეერთებული შტატების ხალხი სულ უფრო მტკიცედ გამოდის თავისი მთავრობის, პენტაგონის მხედრიონის იმპერიალისტური პოლიტიკის წინააღმდეგ. მშვიდობისათვის ბრძოლას ამერიკელი ხალხი მტკიცედ უკავშირებს ბრძოლას სამოქალაქო უფლებებისათვის.

ამასწინათ ნიუ-იორკში გაიმართა დემონსტრაცია, რომლის მონაწილენი პროტესტს აცხადებდნენ იმის გამო, რომ აშშ მთავრობა მხარს უჭერს სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკის რასისტულ მთავრობას, რომელიც აპარტეიდის პოლიტიკას ახორციელებს.



საქდესის ფოტოქრონიკა

# ამერიკის შეერთებული შტატები




„თავისუფალი დემოკრატიის" ამ სანიმუშო ქვეყანაში, როგორც უყვართ ბაქიობა ამერიკის ხელისუფალთ, დიდი გაქანება ჰპოვა ბრძოლამ ზანგებისა და თეთრკანიანთა თანასწორუფლებიანობისათვის. დიახ, ამ ქვეყანაში დღემდე არსებობს მოსახლეობის დაყოფა თეთრკანიანებად და ფერადკანიანებად.

სურათზე: ზანგებისა და თეთრკანიანთა თანასწორუფლებიანობისათვის გამართული დემონსტრაციის მონაწილენი მიემართებიან იუსტიციის სამინისტროსაკენ. პლაკატებზე წარწერაა: „თანასწორობა და სამართლიანობა ყველასათვის!"



საქღესის ფოტოქრონიკა




# ინგლისი

ეროვნული ბიბლიოთეკა

ინგლისელი მშვიდობისმოყვარენი თავიანთი მთავრობისაგან მოითხოვენ, რომ მან უარი თქვას კოლონიალურ პოლიტიკაზე. შეხედეთ ამ სურათებს. თქვენ ხედავთ სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკის აფრიკელი ხალხის ეროვნულ-გამათავისუფლებელი მოძრაობის ლიდერების ნელსონ მანდელას, უოლტერ სისულუს და მათი ამხანაგების დასაცავად ლონდონში გამართული მიტინგის მონაწილეებს. ასეთია ხალხის მოთხოვნა. მეორე სურათზე კი პოლიციელთა წვრთნაა აღბეჭდილი. ამ ახალგაზრდა პოლიციელებს ახლა ყველაზე „რთული" მეცადინეობა აქვთ. მისი თემაა „ბრძოლა პარტიზანელ მეამბოხეებთან"—ა. ი. ეროვნულ-გამათავისუფლებელი ბრძოლის მონაწილეებთან. ასეთია მთავრობის პოლიტიკა.



# საფრანგეთი




მთელს საფრანგეთში იმართება მასობრივი მანიფესტაციები მშვიდობისათვის. ქალაქებისა და სოფლების მშრომელნი მართავენ მიტინგებსა და დემონსტრაციებს, რომლებზეც მოითხოვენ საყოველთაო და სრულ განიარაღებას, იღაშქრებენ ბუნდესვერისათვის თერმოატომგულის იარაღის მიწოდების წინააღმდეგ. ისინი მოითხოვენ, რომ საფრანგეთის მთავრობამ ხელი მოაწეროს მოსკოვის ხელშეკრულებას ატომის იარაღის გამოცდის აკრძალვის შესახებ, მონაწილეობა მიიღოს მოლაპარაკებაში განიარაღების შესახებ.

სურათზე: მშვიდობისათვის ლაშქრობის მონაწილენი უაზის დეპარტამენტში.



საქღესის ფოტოქრონიკა

# საფრანგეთი




ამასწინათ პარიზში გაიმართა ორი მსოფლიო ომის ვეტერანთა მრავალათასიანი დემონსტრაცია. ქვეყნის სხვადასხვა რაიონებიდან ჩამოსულმა ყოფილმა ფრონტელებმა აავსეს დედაქალაქის ქუჩები და მოედნები. ისინი პროტესტს აცხადებდნენ მთავრობის პოლიტიკის წინააღმდეგ, რომელიც აბუჩად იგდებს ომის ვეტერანთა და მათი ოჯახების წევრთა მოთხოვნებს.

სურათზე: ომის ვეტერანები პარიზში.



საქლესის ფოტოქრონიკა

ეროვნული ბიბლიოთეკა

# საფრანგეთი




თვითეული ფრანგისათვის მშვიდობისათვის ბრძოლა—ეს არის ბრძოლა უკეთესი ცხოვრებისათვის. თითქმის ყოველდღე საფრანგეთში იმართება გაფიცვები და დემონსტრაციები. მშრომელთა საარსებო მოთხოვნებია—მშვიდობა, ცხოვრების პირობების ამაღლება, პროფკავშირულ თავისუფლებათა დაცვა.

სურათზე: ჩრდილოეთ საფრანგეთის მეტალისტთა 40-ათასიანი დემონსტრაცია.



საქლესის ფოტოქრონიკა

ეროვნული ბიბლიოთეკა

# იაპონია




მთელი მსოფლიო აღფრთოვანებულია იაპონიის მშრომელთა გრანდიოზული გამოსვლებით მშვიდობისათვის. მილიონობით ადამიანები იღებენ მონაწილეობას ამ ბრძოლაში. ეს არცაა გასაკვირი: იაპონია ხომ პირველი ქვეყანაა, რომელმაც თავის თავზე გამოსცადა ატომური კატასტროფის მთელი საშინელებანი. იაპონელები მოითხოვენ, რომ ერთხელ და სამუდამოდ ბოლო მოეღოს ატომური ომის საფრთხეს. ამ სურათზე ხედავთ მშვიდობისა და განიარაღებისათვის დემონსტრაციის მონაწილეებს.

# იაპონია







პროტესტების ტალღამ გადაუარა იაპონიას, როცა იაპონელებმა შეიტყვეს თავისი ქვეყნის ნავსადგურებში ამერიკის ატომური წყალქვეშა ნავების მომავალი შემოსვლის ამბავი. დაძაბულობამ კულმინაციურ წერტილს მიაღწია იმ დღეს, როცა პირველი ამერიკული წყალქვეშა ატომური ნავი „ზღვის დრაკონი“ შევიდა პორტ სასებოში. ტოკიოში და სხვა ქალაქებში გაიმართა ხალხმრავალი მიტინგები და დემონსტრაციები პროტესტის ნიშნად. ამ სურათებზე აღბეჭდილია დემონსტრაციის მონაწილეთა ბრძოლის ეპიზოდები პოლიციელებთან.



საქდესის ფოტოქრონიკა

ეროვნული ბიბლიოთეკა

# იაპონია

19 წლის წინათ 400 ათასზე მეტი კაცი დაიღუპა ხიროსიმაზე და ნაგასაკზე ატომური ბომბების აფეთქების შედეგად. ამდენივე ადამიანი დღემდე იტანჯება სხივური დაავადებისაგან. ოფიციალური მონაცემებით, მარტო გასულ წელს აღნიშნული დაავადებით 300-ზე მეტი კაცი გარდაიცვალა. ხიროსიმის პრეფექტურაში სხივური ავადმყოფობით სნეული 100 ათასამდე კაცი ცხოვრობს.




ხიროსიმაში ატომური აფეთქების მსხვერპლთა დასახმარებლად შენაწირების შეგროვება.




იაპონელი მეცნიერებს ტოკიოს ქუჩაში მიაქვთ პლაკატი წარწერით „არავითარი ატომური წყალქვეშა ნავები".



საქლესის ფოტოქრონიკა

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ინდონეზია



ამასწინათ ინდონეზიის დედაქალაქ ჯაკარტაში გაიმართა მასობრივი მიტინგი. იგი წარმოადგენდა ინდონეზიელი ქალიშვილებისა და ჭაბუკების მასობრივ მანიფესტაციას ნეოკოლონიალისტური ეგრეთწოდებული მალაიზიის ფედერაციის შექმნის, სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიაში ამერიკის შეერთებული შტატების პოლიტიკის წინააღმდეგ.

სურათზე: მიტინგის მონაწილენი კოცონზე წვავენ მალაიზიის ფედერაციის პრემიერ-მინისტრის აბდულ რახმანის პორტრეტებს და ამერიკის პროპაგანდისტულ ლიტერატურას.

# საბერძნეთი




საბერძნეთში გაიმართა მშვიდობის მომხრეთა მასობრივი ლაშქრობა. ათობით ათასმა ადამიანმა გაიარა ფეხით 42 კილომეტრზე მეტი მანძილი მარათონის გორიდან დედაქალაქ ათენამდე. მარსის მოედანზე მათ შეუერთდა კიდევ ასობით ადამიანი. მიტინგში მონაწილეობა მიიღო სულ 200 ათასზე მეტმა კაცმა. სურათზე თქვენ ხედავთ მარათონული მარშის მონაწილეებს.




მდუმარედ მოდიან ათენის ქუჩებში ჭაბუკები და ქალიშვილები, უდროოდ გაჭაღარავებული ქალები და მამაკაცები. ისინი ბერძენ პოლიტიკურ პატიმართა დედები და ცოლები, შვილები და შვილიშვილებია. გაათავისუფლეთ პოლიტიკური პატიმრები!-ასეთია საზოგადოებრიობის ფართო წრეების მოთხოვნა.

საქდესის ფოტოქრონიკა



ეროვნული ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა

# სამხრეთი ვიეტნამი



მთელი მსოფლიო აღშფოთებულია ამერიკის შეერთებული შტატების აგრესიული იმპერიალისტური პოლიტიკის გამო სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიაში. ივნის ამ მრავალტანჯული ქვეყნის მიწაწყალი. ამერიკის მხედრიონი ბომბავს ჩრდილოეთ ვიეტნამის ქალაქებსა და სოფლებს. მაგრამ შორს არაა ის დღე, როცა ვიეტნამელი პატრიოტები გაათავისუფლებენ თავიანთ სამშობლოს ამერიკელი ინტერვენტებისაგან.

სურათზე: ვიეტნამის განთავისუფლების ფრონტის მამაცი მებრძოლები მზად არიან ბრძოლისათვის.



საქდესის ფოტოქრონიკა

ეროვნული ბიბლიოთეკა

# სამხრეთი ვიეტნამი



სამხრეთვიეტნამელი პატრიოტები მამაცურად იბრძვიან ამერიკელი იმპერიალისტებისა და მათი ლაქიების—საიგონელი ხელისუფლების წინააღმდეგ. პატრიოტები შიშის ზარს სცემენ მთავრობის ისედაც გახრწნის გზაზე დამდგარ არმიას. მთელი ხალხი უჭერს მხარს განმათავისუფლებელთა არმიას, სახალხო შურისმაძიებელთა არმიას.

სურათზე: პარტიზანები მორიგი ლაშქრობის წინ.

ეროვნული
ბიბლიოთეკა



# სამხრეთი ვიეტნამი

მშვიდობა მოსწყურდა მრავალტანჯულ მიწაწყალს. ვიეტნამელ ხალხს მოსძულდა ძმათამკვლელი ომი, რომელიც მათ სახელმწიფოს ამერიკელმა „მრჩევლებმა" მოახვიეს თავს. შეხედეთ ამ სურათებს. თქვენ ხედავთ განთავისუფლებული რაიონების მცხოვრებლებს. ისინი შეუდგნენ მშვიდობიან ცხოვრებას. უკვე მოზრდილმა ადამიანებმა ახლაღა დაიწყეს წერაკითხვის შესწავლა.

აი ეს სურათი კი გვიჩვენებს თუ რა მოაქვთ ამერიკის მხედრიონსა და საიგონელ ლაქიებს—სიკვდილი და ნგრევა, ცრემლი და გოდება.





ეროვნული ბიბლიოთეკა

# სამხრეთი კორეა







ამერიკის შეერთებული შტატებისა და მათი მარიონეტების ბატონობამ ეკონომიური კრახის პირას მიიყვანა ეს ქვეყანა. მოსახლეობის მეოთხედი უმუშევარია. ჯაპან პრესის სააგენტოს სურათზე თქვენ ხედავთ უმუშევარ მტვირთავებს. მეორე სურათი კი გვიჩვენებს თუ როგორ უსწორდებიან სამხრეთ კორეაში ყველა იმათ, ვინც იბრძვის ომისა და სილატაკის წინააღმდეგ, თავისი სამშობლოს მშვიდობიანი გაერთიანებისათვის.



საქდესის ფოტოქრონიკა

# ნორვეგია




ათასობით ნორვეგიელი გამოთქვამს შეშფოთებას ჩრდილოეთ ატლანტიკის სამხედრო ბლოკის აგრესიული ზრახვების გამო, რომელიც ითვალისწინებს ჩრდილოეთ ევროპასა და სკანდინავიაში ატომური ბაზების განლაგებას. მშვიდობისათვის ბრძოლაში სულ უფრო აქტიურად ებმება ახალგაზრდობა. ამ ახალგაზრდა ნორვეგიელებს მოაქვთ პლაკატები, რომლებიც მოუწოდებენ მთავრობას განახორციელოს ამერიკის შეერთებული შტატებისაგან დამოუკიდებელი საგარეო პოლიტიკა.



საქდესის ფოტოქრონიკა

# ჰოლანდია



ამ ქვეყნის ხალხს კარგად ახსოვს მეორე მსოფლიო ომის საშინელებანი. სიკვდილსა და ნგრევას თესავდა ფაშიზმი ჰოლანდიის მიწაზე. დღეს, როცა აშკარაა გერმანიის მილიტარიზმის ახალი აღორძინება, ჰოლანდიელები იღაშქრებენ გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის მთავრობის ავანტიურისტული პოლიტიკის წინააღმდეგ, პროტესტს გამოთქვამენ იმ ცდების გამო, რომ გაამართლონ გერმანელი სამხედრო დამნაშავეები.

სურათზე: გერმანიის მილიტარიზმის აღორძინების საწინააღმდეგო მიტინგისა და დემონსტრაციის მონაწილენი.



საქღესის ფოტოქრონიკა

ეროვნული ბიბლიოთეკა

ეროვნული
ბიბლიოთეკა

# პორტუგალია



სისხლში ახშობს თავისი ქვეყნის ხალხს პორტუგალიელი ხალხის ჯალათი—დიქტატორი სალაზარი. საპყრობილეები სავსეა პოლიტიკური ტუსაღებით, მშვიდობისა და თავისუფლე-ბისათვის მებრძოლებით. ამასწინათ სიკვდილით დასაჯეს გემ „სანტა მარიას" ლეგენდა-რული თავისუფლების მარშის მეთაურები. მაგრამ ჯალათის დღეები დათვლილია. ახლოვდება თავისუფლების მზის ამოსვლა. ვერაფერი გატეხავს პორტუგალელ პატრიოტებს!

სურათზე: ციხე-საპყრობილე ლისაბონის ახლოს. აქ იტანჯებიან მშვიდობისა და თა-ვისუფლებისათვის მებრძოლნი.



საქდესის ფოტოქრონიკა

ეროვნული ბიბლიოთეკა




ისლანდიის ოკუპაციის მოწინააღმდეგეებმა ჩაატარეს ლაშქრობა ლოზუნგით: „გადავაქციოთ ისლანდია ნეიტრალურ, სამხედრო ბლოკებისაგან და უცხოეთის ოკუპაციისაგან თავისუფალ ქვეყანად!" ლაშქრობის მონაწილეებს მიაქვთ ლოზუნგები: „არავითარი სამხედრო ბაზები!", „არავითარი ჯარები!", „მუდმივი ნეიტრალიტეტი ისლანდიას!"



საქლესის ფოტოქრონიკა

# ურუგვაი




ბობოქრობს ლათინური ამერიკის კონტინენტი. ხალხები მოითხოვენ, რომ ბოლო მოეღოს იანკის ძალადობას, ისინი იბრძვიან მიწისათვის, მშვიდობისათვის. გახშირდა ურუგვაის მშრომელთა გამოსვლები. არავითარ რეპრესიებს არ ძალუძთ მათი შეშინება. სურათზე თქვენ ხედავთ ერთ-ერთი ლაშქრობის მონაწილეებს. პროვინციიდან ჩამოსულ გლეხებს მოაქვთ პლაკატი წარწერით „მიწა და თავისუფლება!“.



საქღესის ფოტოქრონიკა

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ბრიტანეთის გვიანა




ბრიტანეთის გვიანის დედაქალაქში—ჯორჯთაუნში გაიმართა თავისუფლების მარში. მასში მონაწილეობა მიიღო ინგლისის ამ კოლონიის 100 ათასზე მეტმა მცხოვრებმა. დემონსტრანტებმა გაიარეს ქალაქის ქუჩებში, შემდეგ კი მოაწყეს გრანდიოზული მიტინგი, რომელმაც ჩაიარა თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის ბრძოლის ნიშნით.

სურათზე: დემონსტრანტები ჯორჯთაუნის ქუჩებში.

ეროვნული
ბიბლიოთეკა



# პანამა

მთელ მსოფლიოს მოედო ცნობები სისხლიანი ამბების შესახებ, რომლებიც მოხდა ლათინური ამერიკის ამ პატარა ქვეყანაში. დემონსტრაციები და საპროტესტო მიტინგები აქ ახლაც არ წყდება. პანამელები მოითხოვენ: „ამერიკელებო, წაეთრიეთ ჩვენი ქვეყნიდან!", „პანამა—პანამელებს!" დემონსტრანტების წინააღმდეგ გამოიყენეს პოლიცია და ეროვნული გვარდია.



სურათზე: პანამელთა გრანდიოზული გამოსვლა თავისი ქვეყნის ეროვნული სუვერენიტეტის დასაცავად.



საქდესის ფოტოქრონიკა

## ვენესუელა



მამაცი ადამიანები იბრძვიან თავისუფალი და დამოუკიდებელი ვენესუელისათვის. მთავრობის რეპრესიებისა და დევნის მიუხედავად პარტიზანთა რიგები განუწყვეტლივ იზრდება. მათმა ხელმძღვანელმა ფაბრისიო ორხედამ გაიარა ვენესუელის საპყრობილეებისა და პოლიციის დილეგების მკაცრი სკოლა.

სურათზე: ფაბრისიო ორხედა (მეორე რიგში მარჯვნიდან მეორე) თავის მამაც თანამებრძოლებთან ერთად ვენესუელის მთებში.





ეროვნული ბიბლიოთეკა